



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია), საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 18.07.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 07.09.2023

თბილისი

| | |
|--|----|
| I. | 4 |
| II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა | 5 |
| III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან..... | 6 |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | 6 |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 10 |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 14 |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | 16 |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... | 22 |

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

| | |
|---|--|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 212693049 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|--|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამთა ცხოვრებაძე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ელენე ჩერქეზია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან მენტეშაშვილი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Applied Biosciences (Biotechnology) |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | გამოყენებით ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Applied Biosciences and Biotechnology |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0512 ბიოქიმია |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³ | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული (13.05.2021, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #MES 1 21 0000442166) |

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

| | |
|--|----------|
| <p>პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)</p> | <p>-</p> |
|--|----------|

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2021 წელს ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და 2 წელში გეგმური მონიტორინგის პირობით. 2022 წელს ექსპერტთა მიერ განხორციელებული შეფასების შესაბამისად (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა), დადებითად შეფასდა რეკომენდაციების შესრულების შუალედური შედეგები და ინსტიტუციამ წარადგინა გეგმა შემდგომი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

პროგრამის მიზანია მოამზადოს კუსრდამთავრებულები ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნით ბიოლოგიის ფუნდამენტურ დისციპლინებსა და ბიოტექნოლოგიების სფეროში; შეასწავლოს ცოცხალი ორგანიზმების სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაცია, მათში მიმდინარე პროცესების მოლეკულური და ბიოქიმიური საფუძვლები და კავშირი ბიოტექნოლოგიასთან; გააცნოს საინფორმაციო და კვლევით ტექნოლოგიებთან ურთიერთობის, ქიმიურ-ბიოლოგიურ ლაბორატორიებში მუშაობის ფორმები, ასევე ის მიდგომები და ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება ბიოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად; გამოუმუშაოს ბიოლოგიურ სისტემებთან მიმართებაში რაოდენობრივი ანალიზის ჩატარების უნარი; აჩვენოს საბუნებისმეტყველო და ხელშემწყობი ზუსტი მეცნიერებების ძირითადი პრინციპებისა და კონცეფციების კავშირი გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის ძირითად ასპექტებთან; განუვითაროს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

პროგრამას გააჩნია ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ხელშეწყობა აღნიშნული მიზნების მისაღწევად. პროგრამის მიზნები თავსებადია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 12 ივლისის #MES 8 23 0000873424 ბრძანების შესაბამისად ჩამოყალიბებულმა ექსპერტთა ჯგუფმა განხორციელა დაწესებულებაში ვიზიტი 2023 წლის 18 ივლისს.

აკრედიტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების შინაარსი, გადანაწილდა ფუნქცია-მოვალეობები და განხორციელდა სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგში სესიების მიხედვით დასასმელი შეკითხვების დაზუსტება აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

ვიზიტის მიმდინარეობისას, დღის წესრიგის მიხედვით, ერთი დღის განმავლობაში ჩატარდა გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ასევე, შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბიბლიოთეკო რესურსებისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობა და სამეცნიერო ბაზებთან წვდომა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან ინტერვიუები განხორციელდა კონსტრუქციულ და თანამშრომლობით გარემოში; ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის სტანდარტების აღწერილობით/შეფასების კრიტერიუმებით კითხვების დასმის პროცესში. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტისას გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ჩამოაყალიბეს ზოგადი მიგნებები და გაუზიარეს უსდ-ს წარმომადგენლებს.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. რადგან, 1.3, 1.4 და 1.5 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. თუმცა, 4.4 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის ნაწილში.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგის „წარმართავს საქმიანობას უსაფრთხოების წესების, ეთიკური ნორმების დაცვით და იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე“ ყველა სტუდენტისათვის მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია „ბიოეთიკის“ კურსის სტატუსის შეცვლა არჩევითიდან სავალდებულო კურსად.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- რეკომენდებულია კალკულუსისა და კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ-ჩვევების სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების ფორმულირებები ჩამოყალიბდეს აწმყო დროში, აქტიური ზმნების გამოყენებით.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში უახლესი სახელმძღვანელოების ან/და სახელმძღვანელოების ახალი რედაქციების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

4.4 მატერიალური რესურსი

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააგრძელოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვის მიმართულებით მუშაობა.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.5 სასწავლო კურსი

- სასურველია “ბიომრავალფეროვნება“ I და II სასწავლო კურსებში განხორციელდეს პრაქტიკული და/ან ლაბორატორიული მეცადინეობების საათების გაზრდა სალექციო საათების ხარჯზე.

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- სასურველია პროგრამულ დონეზე შემუშავდეს სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართულობის მოტივაციის გაზრდის სტრატეგია.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

- სასურველია უნივერსიტეტმა მეტად წახალისოს სტუდენტები და გაზარდოს მათი ინფორმირება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უპირატესობებთან მიმართებით.

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს აკადემიური პერსონალის უფრო აქტიურ ჩართულობაზე სამეცნიერო კონფერენციებში/ვორკშოპებში/ტრენინგებში და სხვა სახის აქტივობებში, რომლებიც ემსახურება აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების ამაღლებას.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, ინსტიტუცია იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას რეკომენდაციებთან მიმართებით, ამასთან, მისასალმებელია ის ცვლილებები რაც განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტისა და დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ. ვინაიდან, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მხედველობაში მივიღოთ შეფასების პროცესის შემდეგ განხორციელებული ცვლილებები, ექსპერტთა მოსაზრებით გაცემული რეკომენდაციები დარჩა უცვლელი.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისა და უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მქონე კურსდამთავრებულები ბიოლოგიის ფუნდამენტურ დისციპლინებსა და ბიოტექნოლოგიების სფეროში; შეასწავლოს ცოცხალი ორგანიზმების სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაცია, მათში მიმდინარე პროცესების მოლეკულური და ბიოქიმიური საფუძვლები და კავშირი ბიოტექნოლოგიასთან; გააცნოს საინფორმაციო და კვლევით ტექნოლოგიებთან ურთიერთობის, ქიმიურ-ბიოლოგიურ ლაბორატორიებში მუშაობის ფორმები, ასევე ის მიდგომები და ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება ბიოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად; გამოუმუშაოს ბიოლოგიურ სისტემებთან მიმართებაში რაოდენობრივი ანალიზის ჩატარების უნარი; აჩვენოს საბუნებისმეტყველო და ხელშემწყობი ზუსტი მეცნიერებების ძირითადი პრინციპებისა და კონცეფციების კავშირი გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის ძირითად ასპექტებთან და განუვითაროს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩამოყალიბებული მიზნები შეესაბამება დარგის თანამედროვე მოთხოვნებს და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიულ გეგმას, ასევე უნივერსიტეტის მოტივაციას - აღზარდოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებისათვის და დააკმაყოფილოს

საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნები აღნიშნულ დარგში. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, პროგრამის მიზნების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად, პროგრამის სტრუქტურაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ მას დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსები „ორგანული ქიმია“ (II სასწავლო სემესტრი; 3 ECTS) და „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“ (II სასწავლო სემესტრი; 3 ECTS). ასევე, გაიზარდა ლაბორატორიული მეთოდების ხანგრძლივობა და ბიოტექნოლოგიის მიმართულებით მნიშვნელოვნად გაღრმავდა მოცემული საკითხები, სასწავლო კურსები უფრო მეტად ფოკუსირდა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე. ამრიგად, განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ითვალისწინებს სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და წარმოაჩენს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები და კონცეფცია გაზიარებულია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად, ყველა აკრედიტებული პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პროგრამების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამის შედეგებისა და კურიკულუმის რუკა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- უსდ-ს მისია;
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის კითხვარები, ანგარიშები და გამოკითხვის შედეგები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.1 პროგრამის მიზნები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამისა და თანდართული დოკუმენტაციის თანახმად მტკიცდება, რომ ფორმულირებულ სწავლის შედეგებში განსაზღვრულია საკვანძო მიმართულებები, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას უზრუნველყოფს; ასევე შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას/ავტონომიურობას, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას საბაკალავრო პროგრამის მიერ.

პროგრამის სწავლის შედეგები, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილია 11 სწავლის შედეგის სახით. პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ იქნა გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის მიმართულებით უცხოურ უნივერსიტეტებში მოქმედი შემდეგი ანალოგი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები და არსებული შედეგები მოდიფიცირდა იმგვარად, რომ პასუხობდეს პროგრამის მიზნებს, საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურს და ასახავს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სწავლის ძირითად შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და განხორციელებული

ინტერვიუების შედეგების საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და შესაბამისად, რეალისტურია.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის მექანიზმებს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს. პროგრამის სწავლის შედეგები ფარავს სფეროს ძირითად მოთხოვნებს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის სპეციფიკას. და მისი მიღწევის შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს როგორც პროფესიით დასაქმებას, ისე განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას. ინტერვიუების პროცესში გაირკვა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები, შესაბამისად, პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პირები იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგებს. ასევე, გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან, პერმანენტული შეხვედრების, სემინარებისა და ინფორმაციულობის ამაღლების სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამის შედეგებისა და კურიკულუმის რუკა;
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის კითხვარები, ანგარიშები და გამოკითხვის შედეგები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სავალდებულო სასწავლო კურსების მიხედვით. გეგმაში გაწერილია რომელი სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ ცალკეული სწავლის შედეგების შეფასებას, წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები და სამიზნე ნიშნულები. კურიკულუმის რუკა ვიზუალურად ასახავს სწავლის შედეგების მიღწევის დონეს და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა - სამიზნე ნიშნულებს თითოეული სწავლის შედეგისათვის; ასევე შეფასების რუბრიკებს თუ როგორ ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.

სწავლის შედეგები თავისი არსით ფარავს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს სამ კომპონენტს („ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“), თუმცა ბოლო კომპონენტის („პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“) ფარგლებში კომპეტენციების განვითარებას სილაბუსების მიხედვით მხოლოდ ორი კურსი („აკადემიური წერა“, „პროფესიული პრაქტიკა“) უზრუნველყოფს, რაც არ ემთხვევა კურიკულუმის რუკაში მოყვანილ ინფორმაციას სასწავლო კურსების კავშირზე პროგრამის სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს ოთხ ეტაპს:

- I ეტაპი: საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;
- II ეტაპი: კურიკულუმის ანალიზი;
- III ეტაპი: საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- IV ეტაპი: შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას აქტიურად გამოიყენება არაპირდაპირი მეთოდებიც, კერძოდ, ხდება დაინტერესებული მხარეების - კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვები ტარდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით პერიოდულად და იძლევა საშუალებას დადგინდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით ხდება კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება საჭიროებისამებრ, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და ირებენ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამის შედეგებისა და კურიკულუმის რუკა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის ნაწილში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნები და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების მე-6 საფეხურს. კერძოდ, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს (60 კრედიტი წელიწადში ან 30 კრედიტი სემესტრში), აქედან 180 კრედიტს ფარავს ძირითადი პროგრამა, ხოლო 60 კრედიტს სთავაზობს დამატებითი (minor) პროგრამა. ძირითადი პროგრამის 180 კრედიტის განაწილება შემდეგია: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები - 125 კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად, რომლის მიხედვით „აუცილებელია მე-5 კომპონენტის (დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი) დამატებითი პროგრამის არჩევის მექანიზმის მოდიფიცირება, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამისათვის აუცილებელი სასწავლო კურსების არჩევა რადგან, სტუდენტზე მოცემული თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში, შესაძლოა რისკის ქვეშ დადგეს პროგრამის (დამატებითი (minor) პროგრამა

- 60 კრედიტი) საბოლოო შედეგზე გასვლა“, პროგრამის აღწერილობას დაემატა ჩანაწერი - „შენიშვნა: სასურველია არჩეულ იქნას დამატებითი (minor) პროგრამა ქიმიაში“.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. სწორად არის განსაზღვრული თითოეული კურსის არჩევის წინაპირობა. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ მეორე სემესტრში დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსი „ფიზიკა“ (5კრედიტი), რომელიც განისაზღვრა მეხუთე სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსის „ბიოფიზიკა“ წინაპირობად. ასევე პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად ქიმიის შემსწავლელი მიმართულების გასაძლიერებად მოხდა ორი ახალი სავალდებულო კურსის, კერძოდ „ქიმია 2 (ფიზიკური და კოლოიდური ქიმია)“ (II სასწავლო სემესტრი; 3 ECTS) და „ქიმია 3 (ორგანული ქიმია)“ (II სასწავლო სემესტრი; 3 ECTS) დამატება. აქედან კურსი „ქიმია 3 „განისაზღვრა „ბიოქიმია 1“ კურსზე დაშვების წინაპირობად. შესაბამისი რეკომენდაციის შესრულებამ ამავე დროს გაიჩინა ახალი პრობლემა, კერძოდ კი ქიმიური მიმართულების საგნებში თემატიკის გადაფარვის შესაძლებლობა, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ძირითად პროგრამასთან ერთად ირჩევს ქიმიის minor პროგრამას. პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის დროს გაირკვა, რომ ისინი სრულიად აცნობიერებენ შესაბამის პრობლემას, ხოლო მის აღმოსაფხვრელად რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს, რათა მოხდეს პოტენციურად გადაფარვადი თემატიკის შემცველი კონკრეტული კურსების შინაარსზე შეთანხმება და კურსებში ცალკეული თემების სწავლის სიღრმის განსაზღვრა.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, პროგრამის პრაქტიკული/ლაბორატორიაში მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული შედეგების მისაღწევად პროგრამის კურსების მთელ რიგში მოხდა საკონტაქტო საათების გადანაწილება ლაბორატორიული და პრაქტიკული საათების გაზრდის მიზნით. კერძოდ, ლაბორატორიული მეცადინეობების ხანგრძლივობა გაიზარდა კურსებში „ბიოქიმია 1“ (სააუდიტორიო 45 სთ-დან პრაქტიკული მუშაობა 13, ხოლო ლაბ. მუშაობა - 22 სთ); „ბიოქიმია 2“ (სააუდიტორიო 45 სთ-დან პრაქტიკული მუშაობა - 13 სთ, ლაბ. მუშაობა - 19 სთ), „მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია“ (სააუდიტორიო 45 სთ-დან ლაბ. მუშაობა - 30 სთ), „ლაბორატორიული კვლევის მეთოდები ბიოტექნოლოგიაში“ (აუდიტორიული 60 სთ-დან პრაქტიკული მუშაობა - 17 სთ, ლაბ. მუშაობა - 33 სთ). ახალ შემოთავაზებულ 3-კრედიტიან კურსებში „ორგანული ქიმია“, და „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“ ლაბორატორიული მეცადინეობები იკავებს 15-15 სთ-ს სააუდიტორიო 30 სთ-დან. სასწავლო კურსებში „ზოგადი ფიზიოლოგია 1 (მცენარეთა)“, „გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია 1“, „გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია 2“, „უჯრედის ბიოლოგია“ მოიმატა პრაქტიკული მეცადინეობების რაოდენობამ (ყველა საგანში პრაქ. მეცადინეობა იკავებს 30 სთ-ს სააუდიტორიო 45 სთ-დან). ამავე დროს, მცირეოდენი გამონაკლისის სახით ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო 5-

კრედიტიანი კურსების შემთხვევაში საკონტაქტო საათების განაწილება არის 30/15/0/0 (ლ/პ/ლაბ/ჯგ).

შეხვედრის დროს პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ გამოხატული პრაქტიკული და ლაბორატორიული კომპონენტის გაზრდის სურვილი გათვალისწინებული იქნა პროგრამის მოდიფიცირების დროს.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას უზრუნველყოფს პროფესიული პრაქტიკა (15 კრედიტი), რომლის ფარგლებში სტუდენტები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოებს კომპანიებში ან თუ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულება (მათ შორის: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქუთაისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორია; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის რეგიონული ლაბორატორია; შპს „მიკრობიოლოგი“).

ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელების განმარტებით პროგრამის შედეგი „წარმართავს საქმიანობას უსაფრთხოების წესების, ეთიკური ნორმების დაცვით და იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე“ ითვალისწინებს სტუდენტის მიერ როგორც ზოგადი ეთიკური ნორმების დაცვას, ასევე ბიოეთიკის პრინციპების ცოდნას და გამოყენებას, მიგვაჩნია, რომ პროგრამის ყველა სტუდენტის ერთსა და იგივე შედეგებზე გასვლის უზრუნველსაყოფად რეკომენდებული იქნებოდა „ბიოეთიკის“ კურსის სტატუსის შეცვლა არჩევითიდან სავალდებულოზე.

ამრიგად, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია - გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის ბაკალავრი. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია, მის განვითარებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამის შედეგებისა და კურიკულუმის რუკა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- პრაქტიკის ხელშეკრულებები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგის „წარმართავს საქმიანობას უსაფრთხოების წესების, ეთიკური ნორმების დაცვით და იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე“ ყველა სტუდენტისათვის მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია „ბიოეთიკის“ კურსის სტატუსის შეცვლა არჩევითიდან სავალდებულო კურსად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამის თითქმის ყველა სასწავლო კურსი (ქიმია 2 (3 ECTS), ქიმია 3 (3 ECTS) და ბიომრავალფეროვნება 2 (4 ECTS) კურსების გარდა) მოიცავს 5 ECTS კრედიტს (125 სამუშაო (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათი). საკონტაქტო საათების განაწილება კურსების შიგნით განსხვავებულია და

დამოკიდებულია მათ სპეციფიკაზე. კურსების უმეტესობაში საკონტაქტო საათების რაოდენობა 45-ია, გამონაკლისს წარმოადგენს კურსები „მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგია“ და „ლაბორატორიული კვლევის მეთოდები ბიოტექნოლოგიაში“, სადაც საკონტაქტო საათების რაოდენობა 60-მდეა გაზრდილი. პროგრამის ბოლო სემესტრი ეთმობა პროფესიულ პრაქტიკას (15 ECTS), რომლის დასრულებისას სტუდენტები ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ანგარიშს წარადგენენ.

პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია ზოგადი და პროფესიული ნიშნით. სწავლის შედეგები თავისი არსით ფარავს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს სამ კომპონენტს („ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“). უმეტეს შემთხვევაში სწავლის შედეგები ფორმულირებულია აწმყო დროში, აქტიური ზმნების გამოყენებით (გამონაკლისია კალკულუსის და კომპიუტინგის კურსების სილაბუსები).

პროგრამის სტრუქტურულ ცვლილებებთან შესაბამისობაში (იხ. 1.4 კომპონენტი) განხორციელდა კურსების შინაარსის გადახედვა. კერძოდ, მოხდა ფოკუსის გადატანა პრაქტიკული და ლაბორატორიაში უსაფრთხო მუშაობის უნარ/ჩვევების განვითარებაზე. მაგალითად, მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგიის კურსის სწავლის შედეგებს შორის ვკითხულობთ: „სასწავლო კურსის ათვისების შემდეგ სტუდენტი:

- ახდენს ლაბორატორიაში მუშაობის წესების, უსაფრთხოების მეთოდების, ჰიგიენური ნორმების, გარემო ფაქტორების მიკროორგანიზმებზე ზემოქმედების დემონსტრირებას;
- იყენებს სხვადასხვა აგენტებს (სტერილიზაცია, დეზინფექცია და სხვა) მიკროორგანიზმების ზრდის დათრგუნვის პროცესის დემონსტრირებისთვის.“

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, რიგი კურსების შემთხვევაში („ბიოქიმია I“, „ბიოქიმია II“, „მიკრობიოლოგია/ვირუსოლოგია“, „ლაბორატორიული კვლევის მეთოდები ბიოტექნოლოგიაში“, „უჯრედის ბიოლოგია“, „გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია I“, „გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია II“, „ზოგადი ფიზიოლოგია I“) განხორციელდა პრაქტიკული და/ან ლაბორატორიული მეცადინეობების საათების გაზრდა სალექციო საათების ხარჯზე. რეკომენდაციაში მითითებულ სასწავლო კურსში „ზოგადი და არაორგანული ქიმია“ პრაქტიკული მეცადინეობა ჩანაცვლდა ლაბორატორიული სამუშაოებით. აღნიშნული ცვლილებები აისახა პროგრამის სტრუქტურაში (სასწავლო გეგმაში) და შესაბამის სილაბუსებში. სასურველია, რომ

მსგავსი ცვლილებები განხორციელდეს სხვა სასწავლო კურსების შემთხვევაშიც, როგორცაა, მაგალითად „ბიომრავალფეროვნება“ I და II.

აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტების პრაქტიკული და განსაკუთრებით ლაბორატორიაში მუშაობის უნარ/ჩვევების განვითარება დიდწილად დაკავშირებულია სასწავლო და/ან კვლევითი ლაბორატორიების ტექნიკურ შესაძლებლობებთან და აღჭურვილობასთან, რაც მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოითხოვს (იხ. 4.4 კომპონენტი).

მთლიანობაში სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ყოველი სასწავლო კურსის/საგნის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება და რელევანტურია კურსის შინაარსთან.

ყველა სილაბუსში სავალდებულო სასწავლო მასალის სახით ქართულენოვანი წყაროებია მითითებული. იმ შემთხვევაში, თუ ქართულენოვანი წყაროები მოძველებულია ან არ არსებობს, სავალდებულო ლიტერატურის სახით მითითებულია ლექტორის მიერ შექმნილი ლექციების კურსი. მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის თანახმად მოხდა ლიტერატურული წყაროების მნიშვნელოვანი განახლება (მათ შორის დაემატა ინგლისურენოვანი წყაროები უმეტესად დამხმარე ლიტერატურის სახით) და აკადემიური წყაროების ამოღება, რიგ სილაბუსში კვლავაც მითითებულია მოძველებული სახელმძღვანელოები („ბიოლოგიის შესავალი“, „ბიომრავალფეროვნება 2“, „ზოგადი ფიზიოლოგია 2“, „ადამიანის მორფოლოგია“, „სამედიცინო მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია“, „ეკოლოგია“ და სხვა). რეკომენდებულია ინსტიტუციურ დონეზე მუდამ ხორციელდებოდეს ზრუნვა უახლესი სახელმძღვანელოების ან/და სახელმძღვანელოების ახალი რედაქციების შექმნის ან მათი წვდომის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების და ბიბლიოთეკის დათვალიერებისას დადგინდა, რომ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა მისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ელექტრონული, ასევე ფიზიკური ფორმით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;

- კურიკულუმის რუკა;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კალკულუსისა და კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ-ჩვევების სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების ფორმულირებები ჩამოყალიბდეს აწმყო დროში, აქტიური ზმნების გამოყენებით.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში უახლესი სახელმძღვანელოების ან/და სახელმძღვანელოების ახალი რედაქციების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ჩვენები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია „ბიომრავალფეროვნება“ I და II სასწავლო კურსებში განხორციელდეს პრაქტიკული და/ან ლაბორატორიული მეცადინეობების საათების გაზრდა სალექციო საათების ხარჯზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|--|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დადგენილი წესით, ასევე კანონმდებლობით დადგენილი შიდა და აგრე მობილობის უფლებით სარგებლობის შემთხვევაში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, აბიტურიენტი აბარებს გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში (გერ.; ინგ.; რუს.; ფრანგ.) და ერთ-ერთს შემდეგი სავალდებულო საგნებიდან: მათემატიკა, ისტორია, ქიმია, ბიოლოგია.

უსდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. პროგრამის მისაღები კონტიგენტის მაქსიმალური ოდენობაა 20 სტუდენტი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- აბიტურიენტთა ცნობარი;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების თანახმად, პროგრამაში განხორციელდა პრაქტიკული და ლაბორატორიაში უსაფრთხო მუშაობის უნარ/ჩვევების განვითარების გაძლიერებაზე ორიენტირებული ცვლილებები. მაგალითად, პროგრამის სწავლის შედეგებს დაემატა:

„საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- იყენებს თანამედროვე მეთოდებსა და მიდგომებს პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის დამოუკიდებლად ან ჯგუფში განხორციელებისას.
- ახდენს ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვას და კვლევისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირებას.
- განსაზღვრავს სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას განვითარებული უნარ-ჩვევების გამოყენებით ან კარიერული განვითარების პერსპექტივებს.
- იღებს პროფესიულ პასუხისმგებლობას საქმიანობის წარმართვისას უსაფრთხოების წესების და ეთიკური ნორმების დაცვაზე.“

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში (ძირითადი, თავისუფალი არჩევითი) გათვალისწინებული პრაქტიკული და ლაბორატორიული კომპონენტების გაძლიერება საკონტაქტო საათების რაოდენობის გაზრდით, ხელს უწყობს პრაქტიკული/კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც დადებითად აისახება პროგრამის შედეგების მიღწევაზე. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებულებმა/პროფესიულ პრაქტიკაში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მიუხედავად კარგი თეორიული ცოდნისა, პროგრამის სტუდენტები არ ფლობენ საკმარის ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმუშაონ ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვით. აქედან გამომდინარე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტების მიერ სავალდებულო პროფესიული პრაქტიკის გავლა, რაც 15 ECTS კრედიტის ოდენობით ჩაშენებულია პროგრამის სავალდებულო კურსებს შორის. პროფესიული პრაქტიკა რეგულირდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შესაბამის ორგანიზაციას შორის ხელშეკრულების საფუძველზე. არსებული ხელშეკრულებების უზრუნველყოფს პრაქტიკის გამტარუნარიანობას და მათ ფარგლებში, სტუდენტი ირჩევს მისთვის მისაღებ საწარმოს პრაქტიკის განხორციელებისათვის.

თუ სტუდენტს, პრაქტიკის დაწყების მომენტისათვის უკვე აქვს კონტრაქტი სამუშაოს მიმცემ ორგანიზაციასთან, მაშინ იგი პროფესიულ პრაქტიკას გადის აღნიშნულ ორგანიზაციაში, თავის კონკრეტულ სამუშაო ადგილზე. ამჟამად, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულებები/მემორანდუმები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქუთაისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიასთან; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის რეგიონული ლაბორატორიასთან; შპს „მიკრობიოლოგთან“. ხელშეკრულების თანახმად სტუდენტს ენიშნება პრაქტიკის ორი ხელმძღვანელი/მენტორი: საწარმოდან და უნივერსიტეტიდან. პრაქტიკის გავლისას სტუდენტები ავსებენ პრაქტიკის დღიურს, რომელიც მოიცავს პრაქტიკის ხელმძღვანელის დახასიათებას და პრაქტიკის მენტორის დასკვნას. სტუდენტების მიერ პრაქტიკის მსვლელობისას უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების მხრიდან დანიშნულ ხელმძღვანელს. უნივერსიტეტის მხრიდან დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელი ამუშავებს სტუდენტებისათვის ინდივიდუალური დავალებების თემატიკას, აყალიბებს შესაბამის მეთოდურ მითითებებს, ადგენს და აკონტროლებს პრაქტიკის განხორციელების ვადებს და ხარისხიანობას. რომელიც შეთანხმდება მეორე ხელმძღვანელთან. პრაქტიკის დასრულებისას სტუდენტები ამზადებენ ანგარიშს ობიექტზე შესრულებული სამუშაოს თაობაზე. ასევე, პრაქტიკის ხელმძღვანელები დახმარებას უწევენ სტუდენტს ინდივიდუალური დავალების შესრულებაში.

სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ ხელს უწყობს სამეცნიერო წერის პრინციპების დაუფლებას. სტუდენტების სურვილის შესაბამისად პროგრამას დაემატა კურსი „უცხო ენა IV“, რომლის დასრულებისას სტუდენტები ეუფლებიან უცხო ენას B2 დონის შესაბამისად.

პროგრამა არ მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს ან კვლევითი პროექტს, ამის გათვალისწინებით, სტუდენტების კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მათი აქტიური ჩართულობა ექსტრაკურსულურ კვლევით აქტივობებში. როგორც ეს სტუდენტებთან შეხვედრის დროს გაირკვა, ინსტიტუციის მიერ ხდება სტუდენტების მუდმივი წახალისება სხვადასხვა სახის სამეცნიერო კონფერენციებსა თუ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. მაგალითად, პროგრამის 2-მა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში (I

International Scientific and Theoretical Conference, February 12, 2021. Pisa, Italia). აწსუ-ს საგარეო ურთიერთობებისა და განვითარების სამსახური მუდმივად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას გაცვლითი პროექტების შესახებ უნივერსიტეტის ვებ-გვერდის და კორპორაციული ფოსტების დახმარებით. საბაკალავრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)“ სტუდენტები ჩართულნი იყვნენ სამეცნიერო კვლევით პროექტში „სამი ინვაზიური მავნებლის - ფრთალაქიანი დროზოფილას (*Drosophila suzukii*), იაპონური ხოჭოს (*Popillia japonica*) და პომიდვრის მენადმე ჩრჩილის (*Tuta absoluta*) მავნეობის სტატუსის შეფასება და პოპულაციის მონიტორინგი“(ს/კ 205086280; “CNFA”) (USAID პროგრამა). პროექტის შედეგები სტუდენტების მიერ წარდგენილი იყო რამოდენიმე კონფერენციებზე (2020 – 2021 წწ). აგრეთვე 2021 წლის 10 ოქტომბერს, სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებთა მასშტაბური დღის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში. 2021 წლის დეკემბერში საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტმა გაიარა ზამთრის სკოლა „რეგიონული უსაფრთხოება და კონფლიქტების მართვა“ (EU მხარდაჭერილი პროექტის „ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ზელშეწყობა“ ფარგლებში).

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველ წელს ტარდება სტუდენტთა კონფერენცია. როგორც გაირკვა პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრის დროს, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს დროულად მიეწოდება ინფორმაცია სხვადასხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებების შესახებ, სტუდენტების მხრიდან ასეთ ღონისძიებებში ჩართულობის სურვილი დაბალი რჩება. ვთვლით, რომ ინსტიტუციურ და აგრეთვე პროგრამულ დონეზე სასურველია შემუშავდეს სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართულობის მოტივაციის გაზრდის სტრატეგია, ხოლო სტუდენტების მხარდაჭერა მათი საერთაშორისო თუ ადგილობრივ საგანმანათლებლო/კვლევით პროექტებში ჩართულობის მიზნით უნდა გაძლიერდეს (მაგალითად, Erasmus+ პროგრამებში მეტი ჩართულობის გზით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის კითხვარები, ანგარიშები და გამოკითხვის შედეგები;

- საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია 2021-2026
- პრაქტიკის ხელშეკრულებები;
- პრაქტიკის დღიურის ნიმუში;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამულ დონეზე შემუშავდეს სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართულობის მოტივაციის გაზრდის სტრატეგია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსების მიხედვით პროგრამის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდი, კერძოდ: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, პრაქტიკული, ლაბორატორიული, ჯგუფური მუშაობის, წერიტი მუშაობის, ახსნა-განმარტებითი, ანალიზის, სინთეზის, დისკუსია/დებატების, ინდუქციური და დედუქციური, დემონსტრირების, თანამშრომლობითი სწავლების, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. მათი შერჩევა-გამოყენება მიმართულია, როგორც სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემაზე, ისე სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები და შესაბამისი აქტივობები უზრუნველყოფენ კურსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას, მთლიანობაში კი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აკრედიტაციის ვიზიტისას პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იცნობენ სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს სწავლება-სწავლის მეთოდებთან მიმართებით და შესაბამისად გეგმავენ სასწავლო კურსების ფარგლებში აქტივობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის კითხვარები, ანგარიშები და გამოკითხვის შედეგები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონმდებლობასთან შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით. შეფასების კრიტერიუმები შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემას და შპს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციას. შეფასების სისტემა რელევანტურია სასწავლო კურსების შინაარსთან, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტების უნარებისა და ცოდნის ამაღლებაზე და სტუდენტებისგან ადეკვატური უკუკავშირის მიღებაზე.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოოტექნოლოგია) პროგრამისთვის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით

შეფასებას, რომელთან ჯამი წარმოადგენს მაქსიმალურ საბოლოო 100 ქულას, ხოლო შეფასების ფორმები მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს, როგორცაა: ზეპირი/წერილითი გამოცდა, ტესტი, ქვიზი, პრეზენტაცია, პრაქტიკული დავალება და სხვა.

დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა კი ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით; შუალედური შეფასების 60 ქულის განაწილება შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ტესტირებას, პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობას, პრეზენტაციებს, ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტივობების შესრულებას და სხვა, რომელიც დეტალურად არის გაწერილი სილაბუსში კურსის წამყვანი პროფესორის მიერ. სილაბუსით ასევე დადგენილია შუალედური და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რიგ შემთხვევებში, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, დადგენილია აქტივობის კომპონენტის შეფასების მინიმალური ზღვარიც.

ექსპერტთა ვიზიტის მსვლელობისას, დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირის სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების მიმართულებით. ინფორმირებულნი არიან პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმების შესახებ, ასევე შეფასებების გასაჩივრების თაობაზე. სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებები. ამის შემდეგ იქმნება შემდეგ იქმნება კომისია, საგამოცდო ცენტრში გადაიხედება ნაშრომი, შედგება ოქმი და საბოლოო პასუხი დასაბუთებულად იწერება. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა დაესწროს მისი ნაშრომის შეფასების განხილვას სურვილისამებრ.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასებების სანდოობისა და ვალიდურობის მონიტორინგსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სემესტრის ბოლოს იმართება შეხვედრა, სადაც განიხილება სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის საკითხები, რათა შედეგები გათვალისწინებულ იქნას სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;

- ხარისხის უზრუნველყოფის კითხვარები, ანგარიშები და გამოკითხვის შედეგები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.4 სტუდენტების შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|--|---|-------------------------------------|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას

ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიურ მიღწევებზე, სწავლის შედეგებსა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე.

ჩარიცხვის შემდგომ პირველ კვირას სტუდენტებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან. სტუდენტებს მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია საუნივერსიტეტო მომსახურებებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში უახლესი ინფორმაციის შესახებ როგორც ელექტრონულ ფოსტაზე ასევე ვერბალურად. სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, როგორცაა: აკადემიური კალენდარი, ელ.ფოსტის, Microsoft Teams-ის გამოყენებისა და ამავე პლატფორმაზე დავალებების და დავალებების შეფასებების შემოწმების ინსტრუქციები, სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის სერვისები და ა.შ. უნივერსიტეტში სტუდენტები სარგებლობენ ერთიანი საინფორმაციო და სასწავლო პლატფორმით "Teams", საიდანაც აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ ატვირთულ მასალასა და შესასრულებელ დავალებებს. სასწავლო სემესტრის დასაწყისში, ყოველი სასწავლო კურსის პირველ ლექციაზე, სტუდენტი იღებს სრულ ინფორმაციას სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ. კურსის თითოეული სასწავლო სილაბუსში მითითებულია კონსულტაციის საათები და ლექტორის საკონტაქტო

ინფორმაცია. ვიზიტის დროს სტუდენტებმა და ლექტორებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერ დროს, საკონსულტაციო საათების გარდა სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ლექტორებისგან დამატებითი ინსტრუქცია და მითითება აღნიშნულის საჭიროების შემთხვევაში.

დაწესებულებაში არსებობს შიდა სტიპენდია წარჩინებული მოსწავლისთვის, რომელიც სტუდენტმა რამდენჯერმე შეიძლება დაიმსახუროს. ასევე უნივერსიტეტი აფინანსებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებს, ამისათვის სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტს. ვიზიტის დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი რეგულარულად იღებენ სხვადასხვა ვაკანსიას ელექტრონული ფოსტით, ასევე კონსულტაციების კარიერის დაგეგმვის სერვისებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია უნივერსიტეტში მოქმედი “Help Desk”-ის სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტექნიკის მეშეობით, ელექტრონულად, გამარტივებული წესით გააგზავნონ განაცხადი ადმინისტრაციასთან სტუდენტურ სერვისებთან მიმართებით. უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, როგორცაა დასაქმების ფორუმები. ვიზიტის დროს დამსაქმებლებმა კმაყოფილება გამოთქვეს აღნიშნულ პროგრამაზე არსებული სტუდენტების მიმართ, აღნიშნეს რომ მათთვის ტექნიკასთან მუშაობა არ არის უცხო და უნარები შეესაბამება დამსაქმებელთა მოთხოვნებს.

ვიზიტის დროს გასაუბრებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოხატეს თავიანთი დადებითი დამოკიდებულება პროგრამის მიმართ. ისინი კმაყოფილნი არიან სწავლების ხარისხით, პროფესორების კვალიფიკაციის დონით, სწავლების მეთოდებით და სტუდენტური მომსახურებით, თუმცა აღნიშნეს, რომ ისურვებდნენ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოხატონ საჭიროებები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. პროგრამის განვითარების პროცესში, გათვალისწინებული იყო სტუდენტების შემოთავაზებები მაგალითად, ლაბორატორიული საათების ოდენობის გაზრდა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სემესტრში 2-ჯერ ატარებს სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვებს და მაღალ კურსებზე უფრო ჩაღრმავებულად იკვლევს სწავლის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მოსაზრებებს. ინტერვიუების დროს ექსპერტებისთვის ცნობილი გახდა, რომ სტუდენტები მონაწილეობენ ხარისხის კვლევებსა და გამოკითხვებში.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სივრცე მოიცავს როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ წიგნებს. სტუდენტებს და ასევე კურსდამთავრებულებს აქვთ წდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, მათ შეუძლიათ სისტემაში ელექტრონული საელმძღვანელოების მოძიება, ხოლო თუ ელექტრონულ ბაზაში ჯერ არ არის წიგნი დამატებული - ბიბლიოთეკაში ბეჭდური ვერსიით სარგებლობა. ასევე ინფორმირებულები არიან აკადემიური კეთილსინდისიერების წესების შესახებ და მათთვის ცნობილია ნაშრომის შეფასების / გასაჩივრების პროცედურები, ინტერვიუს დროს ერთ-ერთი კურსდამთავრებულის მხრიდან აღინიშნა შეფასების გასაჩივრების გამოცდილების ქონაც. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში დანერგილია ე.წ. „ტუტორის“ პრაქტიკა, რომლის თაობაზე სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას და იყენებენ მათ დანმარებას საჭიროებისამებრ. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან და აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. მაგალითად: სტუდენტები თბილისში გარემოს დაცვის ტექნოლოგიურ კონფერენციაზე გამოვიდნენ, სადაც წარადგინეს თავისი განხორციელებული ნაშრომები და დაჯილდოვდნენ კიდევ. გარდა ამისა, სტუდენტები ჩართულნი იყვნენ "USAD"-ის პროგრამაში "მავნებლების გავრცელება და მათი პრევენცია". ასევე ტარდება "სამეცნიერო პიკნიკები "სკოლის მოსწავლეებისთვის, სადაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საზაფხულო სკოლა სტუდენტებისათვის.

გარდა ამისა, უსდ ზრუნავს სტუდენტებისათვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შეთავაზებაზე, თუმცა შესაძლებლობის მიუხედავად, სტუდენტებს არ უსარგებლიათ აღნიშნული შეთავაზებით. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში, უსდ მჭიდროდ თანამშრომლობს პავიას უნივერსიტეტთან (იტალია), ასევე თურქეთისა და საფრანგეთის უნივერსიტეტებთან. მიმდინარეობს მუშაობა საფრანგეთის, გერმანიისა და პოლონეთის უნივერსიტეტებთან, თუმცა სამომავლო პერსპექტივაში. უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის იტალიის უნივერსიტეტიდან მოიწვია ლექტორი 5 დღიანი სალექციო კურსის ჩასატარებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

- ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები, პერსონალთან სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტმა მეტად წახალისოს სტუდენტები და გაზარდოს მათი ინფორმირება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უპირატესობებთან მიმართებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| | |
|---|--|
| მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები | |
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა | |

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|--|---|-------------------------------------|
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები განსაზღვრულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს დადგენილებით №111(17/18), 28.06.2018. უსდ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელსაც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯის გაანგარიშების

ფორმა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 22 აკადემიური პერსონალი, აქედან 1 პროფესორი და 21 ასოცირებული პროფესორი (ყველა აკადემიური პერსონალი უსდ-შია აფილირებული), აგრეთვე ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებლები, რომლებიც ახორციელებენ უცხო ენების კურსებს. პროგრამას არ ჰყავს დარგის შესაბამისი მოწვეული პერსონალი. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში, პერსონალის დენადობისა და შენარჩუნების მაჩვენებელი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას გააჩნია აკადემიური პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები. როგორც ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული შეხვედრების შედეგად გაირკვა, კონსულტაციები რეგულარულად ხორციელდება და ისინი არ შემოიფარგლება მხოლოდ მითითებული საათებით. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სტუდენტებმა სწორედ აკადემიური პერსონალის მათ მიმართ გამოხატული ყურადღება, ყოველმხრივი დახმარება და აგრეთვე მასწავლებლების მაღალი კომპეტენცია დაასახელეს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებიდან ჩანს, რომ აკადემიური პერსონალი ჩართულია პროგრამის განვითარების პროცესში. პროგრამაში ჩართული პერსონალის თანდართული რეზიუმეების მიხედვით, პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირები. პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი შერჩეულია ცოდნის, გამოცდილების და კვალიფიკაციის შესაბამისად. პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს შესაბამის გამოცდილებას და კომპეტენციებს, რათა უხელმძღვანელოს პროგრამის ეფექტურ განხორციელებას და უზრუნველყოს მისი განვითარება.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საშუალოდ 77% საერთოდ არ ფლობს, ან ფლობს ინგლისურ ენას A2-B1 დონეზე, რაც საჭიროებს გაუმჯობესებას, რათა აკადემიურმა პერსონალმა

შეძლოს ახალი უცხოური პუბლიკაციების გაცნობა, ინგლისურენოვან ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის მიღება. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ უსდ-ს აკადემიური პერსონალის თხოვნით, უსდ-ში ტარდება უფასო უცხო ენის დაუფლების კურსები. პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶ | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷ | მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|--|
| სულ აკადემიური პერსონალი | 22 | 22 | 22 | 22 |
| - პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასოცირებული პროფესორი | 21 | 21 | 21 | 21 |
| - ასისტენტ-პროფესორი | - | - | - | - |
| - ასისტენტი | - | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | - | - | - | - |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - | - |

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის კითხვარები, ანგარიშები და გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასაკვალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.1 ადამიანური რესურსი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომების ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით | მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---------------------------|------------------------------------|--|
|---|---------------------------|------------------------------------|--|

| | | დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები | |
|---|--|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | | | |
| - პროფესორი | | | |
| - ასოცირებული პროფესორი | | | |
| - ასისტენტ-პროფესორი | | | |
| მოწვეული პერსონალი | | | - |
| სამეცნიერო პერსონალი | | | - |

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---------------------------------|---|---|---|
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სისტემატიურად ახორციელებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევას და საქმიანობის შეფასებას. დაწესებულებამ შეაფასა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დამოკიდებულება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სამუშაო პირობებითა და სწავლების პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად.

ასევე, უსდ-ში ყოველსემესტრულად ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი სტუდენტების გამოკითხვისა და შეფასების საშუალებით. აკადემიური პერსონალის შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. აკადემიური პერსონალის სასწავლო - მეთოდურ მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის დეკანი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე. აქტიურად გამოიყენება კოლეგიალური დასწრების მექანიზმი, გამოცდილების გაზიარებისა და სწავლის მეთოდების დახვეწის მიმართულებით.

უნივერსიტეტი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით, გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლის ფარგლებშიც სთავაზობს განვითარების შესაძლებლობებს პერსონალს, არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე - მაგ. უზრუნველყოფს ინგლისური ენის შესწავლას და ენის ფლობის დონის გაუმჯობესებას უსასყიდლოდ. უსდ-ს შემუშავებული მხარდაჭრისა და წახალისების წესის შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება კვლევითი საქმიანობა და სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო

ინდექსირებად ჟურნალებში. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის უმეტესობის შემთხვევაში ბოლო პუბლიკაციები/სამეცნიერო აქტივობების მონაცემები მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით გაუმჯობესებულია, ხოლო იმფაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო გამოცემებში პუბლიკაციების რაოდენობა გაზრდილია. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია, რომ უნივერსიტეტმა იზრუნოს აკადემიური პერსონალის უფრო აქტიურ ჩართულობაზე სამეცნიერო კონფერენციებში/ვორკშოპებში/ტრენინგებში და სხვა სახის აქტივობებში, რომლებიც ემსახურება აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით გადადგმულია პოზიტიური ნაბიჯები. უსდ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით (N41 (20/21)), უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების წახალისების მიზნით, შემოღებულია ფულადი ჯილდო. ასევე აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით (N50 (20/21)) განისაზღვრა უსდ-ს ფაკულტეტებზე კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით კრიტერიუმები, საიდანაც ერთ-ერთი კრიტერიუმია პროექტის დაფინანსების შემთხვევაში სტატიის გამოქვეყნების ვალდებულება შემდეგ ბაზებსა და ჟურნალებში: Scopus, Web of Science, ERIH plus, აწსუ მოამბე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის კითხვარები, ანგარიშები და გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს აკადემიური პერსონალის უფრო აქტიურ ჩართულობაზე სამეცნიერო კონფერენციებში/ვორკშოპებში/ტრენინგებში და სხვა სახის აქტივობებში, რომლებიც ემსახურება აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების ამაღლებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კამპუსი აღჭურვილია ადმინისტრაციული, სასწავლო, სოციალური და სტუდენტური სივრცეებით. აღსანიშნავია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კორპუსი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით, ფუნქციონირებს შემოქმედებითი სამუშაო სივრცეებითა და სტუდენტთა ეფექტიანი მომსახურებისათვის საჭირო ყველა პირობით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ყველანაირი პირობა არის შექმნილი სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების მუშაობისათვის. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე მასალები, როგორც ელექტრონული ისე მყარი სახით. სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია

თანამედროვე სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, ციფრული რესურსი, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ ბიოტექნოლოგიების თანამედროვე სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო-კვლევითი ლაბორატორიების უმეტესობა მოძველებულია აღჭურვილობის კუთხით. ითვალისწინებს რა აღნიშნულ მდგომარეობას, უსდ-ს ადმინისტრაციამ გამოყო ფინანსური სახსრები და დაამტკიცა ერთიანი მულტიფუნქციური ლაბორატორიული ჰაბის შექმნის პროექტი, რომლის განხორციელება უკვე დაწყებულია. სამუშაოების დასრულება და ლაბორატორიული ჰაბის სრული ფუნქციონირება 2026 წლისთვის არის დაგეგმილი, თუმცა ცალკეული ერთეულების ექსპლუატაციაში შესვლა მომავალი წლიდან იქნება შესაძლებელი.

ასევე აღსანიშნავია, რომ უსდ, როგორც რეგიონალური პარტნიორი, ჩართული იყო 2020-2023 წლის ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ პროექტში „ლაბორატორიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების (LLL) კურსების ანაღაზრდებისათვის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში“ (ENI/2020/417-316) (<https://www.facebook.com/CoLLLab2020/about>), რომლის ფარგლებში ბიოლოგიის დეპარტამენტში შეიქმნა და აღიჭურვა ბიოუსაფრთხოების მე-2 დონის (BSL 2) ლაბორატორია, რომელიც გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებსაც მოემსახურება. კერძოდ, ბიოუსაფრთხოების ლაბორატორიაში განთავსდა ბიოუსაფრთხოების კაბინეტი (BSC-4FA2-GL(4') / BSC-4FA2-NA(4')), ამწოვი კარადა (FHI500 (A)), ავტოკლავი BKQ-Z75I, სტერილიზატორი OLB-Y-800, პიპეტის კონტროლერი RF3000® , ინფრაწითელი სტერილიზატორი, მინი ცენტრიფუგა Mini-10K+, მინი მაღალსიჩქარიანი ცენტრიფუგა, ჰომოგენიზატორი, დამატებითი აღჭურვილობები და ავეჯი ლაბორატორიისთვის. ამ ლაბორატორიის მნიშვნელობა ხაზგასმული იყო დამსაქმებლებთან შეხვედრის დროს.

2021 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ფაკულტეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხებით (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ფინანსური რესურსით) შეძენილია 78 317 ლარის ღირებულების შემდეგი ლაბორატორიული მოწყობილობები: საზომი ხელსაწყო თერმოსტატი, საზომი ხელსაწყო მიკროტომი RD-485, სასწორი, სასწორი ანალიტიკური, დეტექტორები, ანალიზატორები და ავტოკლავი, მიკროსკოპი, ცენტრიფუგა 16,5K, მინიცენტრიფუგა.

გაიწერა ბიოლოგიის მიმართულების პროგრამებისთვის ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განახლება/განვითარების 5 წლიანი გეგმა, რომლის ფარგლებში უკვე განხორციელდა ლაბორატორიული აღჭურვილობის ნაწილის შეძენა.

გარდა ამისა, ბიოლოგიის დეპარტამენტიდან წარდგენილია საგრანტო წინადადება ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის (GGP) ფარგლებში, რომელიც საქართველოში იაპონიის საელჩოს ერთ-ერთ საგრანტო სქემას წარმოადგენს. პროექტი ითვალისწინებს ლაბორატორიული მოწყობილობის შეძენას. ყველა ჩამოთვლილი პროექტი შეიძლება განიხილოს როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი სასწავლო/კვლევითი პროცესისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვის მიმართულებით მუშაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ლაბორატორიული აღჭურვილობა;
- საბიბლიოთეკო რესურსები;
- ბიოლოგიის მიმართულების პროგრამებისთვის ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განახლება/განვითარების 5 წლიანი გეგმა;
- მიღება-ჩაბარების აქტები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააგრძელოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვის მიმართულებით მუშაობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| | | | | |

| | | | | |
|-------------------------------|--------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| 4.4 მატერიალური რესურსი | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
|-------------------------------|--------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შესაბამეა პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, ორიენტირებულია სასწავლო პროგრამის უწყვეტ და ეფექტიანი განხორციელებაზე. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ძირითადად ხდება უნივერსიტეტის მიერ სწავლის ქირიდან მიღებული შემოსავლების გამოყენებით. პროგრამის ბიუჯეტი დათვლილია სტუდენტთა ოპტიმალურ ოდენობაზე - 18 სტუდენტზე. ბიუჯეტში წარმოდგენილია ხარჯები არა მარტო შრომითი ანაზღაურების მიმართულებით, არამედ, პროგრამის განვითარების, კვლევისა და პრაქტიკის მიმართულებით. პროგრამის ბიუჯეტი ასევე მოიცავს სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერის ხარჯებს და რისკების დაზღვევის ხარჯს.

ასევე, მომავალი წლის ბიუჯეტთან მიმართებაში, უსდ-ს პრიორიტეტულ მიმართულებად აქვს განსაზღვრული ინფრასტრუქტურული, აკრედიტაცია/ავტორიზაციის ხარჯები და კონფერენცია/ტეინინგი აკადემიური პერსონალის მომზადება/გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები. საფაკულტეტო ბიუჯეტი ითვალისწინებს ფინანსურ დახმარებას პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის.

უსდ-ს სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია მულტიფუნქციური ლაბორატორიის გახსნასა და ამ ლაბორატორიისათვის შესყიდული ტექნიკის განახლებაზე. 2021 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ფაკულტეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხებით (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ფინანსური რესურსით) შექმნილია 78 317 ლარის ღირებულების ლაბორატორიული მოწყობილობები, ასევე ბიოლოგიის მიმართულების პროგრამებისთვის ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განახლება/განვითარების 5 წლიანი გეგმის ფარგლებში, უკვე განხორციელდა ლაბორატორიული აღჭურვილობის ნაწილის შექმნა. მიუხედავად ამისა, არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, ფაკულტეტების უმეტესობას სჭირდება ლაბორატორიის გაძლიერება, შესაბამისად უნივერსიტეტი ცენტრალური ბიუჯეტიდან უზრუნველყოფს

საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის გასაძლიერებლად თანხმების მობილიზებას. ვიზიტის მსვლელობისას მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, პირველი ეტაპი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კეთილმოწყობის მიმართულებით დასრულებულია და მეორე ეტაპისათვის, უსდ მუშაობას განაგრძობს დამატებითი ფინანსების მოზიდვის მიმართულებით გრანტების მეშვეობით. პროექტის დასრულება გაწერილია 2026 წლისათვის, ხოლო 2024 წელს უსდ-ს ავტორიზაციის ფარგლებში იგეგმება ცალკეული ნაწილების ექსპლუატაციაში შესვლა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|--------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება დებულებითა და ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციით, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირები ჩართოს და მიაწოდოს ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა თითოეულმა მათგანმა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითარებას. უსდ-ს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“

განსაზღვრულია: „დაგეგმე-განხორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად. აღნიშნული ციკლი ვრცელდება სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის ეფექტიანობის მიმართულეებზე.

უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის შესაბამისად, რომელიც მოიცავს პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ეტაპებს, პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის შეფასების მეთოდოლოგია აერთიანებს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ მეთოდებს. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტირებას საჭიროებების შესაბამისად.

გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებისა და შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობდნენ პროგრამის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამის პერიოდული შეფასება განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ წინასწარ განსაზღვრული პროცედურის და შეფასების პროცესის მიხედვით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მჭიდროდ თანამშრომლობითა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით, შუალედური შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და შეფასების ხარისხის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამის გაუმჯობესების პროცესში აქტიურად არის გამოყენებული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს როგორც ყოველწლიურ სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვას და შეფასებებს, ასევე ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრებს. მიღებული შედეგები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების და მისი ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებას. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის, პერიოდულად ტარდება შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. პროგრამის შეფასების განხორციელებისას მიღებული რეკომენდაციები, გარე შეფასება, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მონაცემები გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესისა და პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის კითხვარები, ანგარიშები და გამოკითხვის შედეგები.
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|----------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ გარე ხარისხის შეფასებისათვის იყენებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს და გარე ექსპერტის შეფასებას. აღნიშნული შეფასებების შედეგების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ ხდება ღონისძიებების ინიცირება და სხვა შესაბამის სამსახურებთან ერთად დაგეგმვა-განხორციელება. პროგრამაზე თანდართული დოკუმენტებისა და ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, გამოიკვეთა

უსდ-ს მიერ პროგრამის განვითარების პროცესში გარე შეფასებების გამოყენების პრაქტიკა. მონიტორინგის ვადაში უსდ-მ გაითვალისწინა აკრედიტაციისას და ერთი წლის ვადაში წარდგენილი ანგარიშის შეფასებისას მიღებული რეკომენდაციები და რჩევები და ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა გათვალისწინებული რეკომენდაციების თაობაზე დეტალური ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის კითხვარები, ანგარიშები და გამოკითხვის შედეგები;
- მონიტორინგის ანგარიში;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|----------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.2 გარე ხარისხის შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა მოიცავს ინფორმაციას მოქმედი პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებულ აქტივობებისა და ღონისძიებების, ძირითადი ინდიკატორებისა და კრიტერიუმების შესახებ, აქტივობების განხორციელების პერიოდულობასა და ვადებს, ასევე პასუხისმგებელ პირებს. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. პროგრამის ფარგლებში, ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკის ფარგლებში, წინასწარ დადგენილი პერიოდულობით ხორციელდება აკადემიური პერსონალის კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასება. აღნიშნული პრაქტიკა არამხოლოდ ხელს უწყობს პერსონალის ერთმანეთთან თანამშრომლობას და გამოცდილების გაზიარებას, არამედ სოგადად სწავლება-სწავლის პროცესის გაუმჯობესებას. ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ სალექციო კურსებს და ხორციელდება სასწავლო კურსისთვის დადგენილი მიზნობრივი ნიშნულის და ფაქტობრივი შედეგების ანალიზი. ასევე, პროგრამის დასრულებისას - სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)“ შეფასების მიზნით, 2022 წლის 6 სექტემბერს, ჩამოყალიბდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის პასუხისმგებლობას განისაზღვრა საგანმანათლებლო

პროგრამის შეფასების პროცედურით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება. მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები და შესაბამისობა პროგრამის მოდიფიცირება-გაუმჯობესების მიმართულებით, აღნიშნულმა ჯგუფმა ასევე უზრუნველყო სტუდენტთა შეფასების სისტემის მონიტორინგი. აკრედიტაციის ფარგლებში ექსპერტთა გამოთქმული რეკომენდაციის შესაბამისად, უსდ-მ უზრუნველყო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კითხვარის გადამუშავება, რათა იდენტიფიცირება მოახდინოს იმ კონკრეტული საჭიროებების, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია პროგრამის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტევიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება განხორციელდა პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპებზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და დამსაქმებლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით. აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება პროგრამის გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები და კურიკულუმი დადარებულ იქნა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, ვროცლავის უნივერსიტეტის, ბარსელონას უნივერსიტეტის, ფურტვანგენის უნივერსიტეტის, ნიუკასლისა კენტის უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესი;

- ხარისხის უზრუნველყოფის კითხვარები, ანგარიშები და გამოკითხვის შედეგები;
- მონიტორინგის ანგარიში;
- ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ჩამოყალიბებისა და საქმიანობის თაობაზე;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
- ანალოგი პროგრამების შესწავლის დოკუმენტი;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|-------------------------------------|
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია), საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| შეფასება სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

თამთა



ცხოვრებაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ელენე ჩერქეზია 

ქეთევან მენტემაშვილი 